ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 666

20 დეკემბერი
"___" _____ 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, რ. დავითაშვილის ქ. №73ა-ს მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.04.033.037) პირდაპირი განკარგვის წესით ნატალია დუნდუასთვის (პ/ნ. 61003010704) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, რ. დავითაშვილის ქ. №73ა-ს მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.16.04.033.037) პირდაპირი განკარგვის წესით ნატალია დუნდუასთვის (პ/ნ: 61003010704) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 18 დეკემბრის №24.2168.2448 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რ. დავითაშვილის ქ. №73ა-ს მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.04.033.037) პირდაპირი განკარგვის წესით ნატალია დუნდუასთვის (პ/ნ. 61003010704) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 720 (შვიდასოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე